პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO KOMITETA KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOY SSR

გამოცემის 33-ე წელი

№ 204 (9364)

ხუთშაბათი 28 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

ჩაის რაიონების მუშაკთა საბრძოლო ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცხრე ტომი ქართულ ენაზე (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება — უნარიანად შევახამოთ პარტიული და სამეურნეო მუშაობა. ნაკლოვანებათა ბოლშევიკური მხილების გზით (მე-2 გვერდი).

განუწყვეტლივ მკრიფოთ ჩაის ფოთოლი (მე-3 გვერდი).

ფართოვდება საქართველოს [illegible] მოწყობის სამუშაოები (მე-3 გვერდი).

ა. თომაძე — კომბაინზე [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალი XIX ყრილობის გამო (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ჩაის რაიონების მუშაკთა საბრძოლო ამოცანა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ფაბრიკებსა და ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში ფართოვდება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, მშრომელები ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს იღებენ და სტახანოვურ ვახტზე დგებიან.

საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში ებმებიან საქართველოს მეჩაიეებიც, რომლებიც ბეჯითად შრომობენ მოსავლიანობის გადიდებისათვის. ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი-ნოვატორი, გლის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნათელა ბულისკერია იბრძვის ერთ ჰექტარზე 24.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის. გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გ. არძინბა, წარმატებით ასრულებს ჩაის კრეფის გეგმას. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობაში 724 ათასი კილოგრამი მოკრეფილი ფოთლიდან 669 ათასი კილოგრამი პირველი ხარისხისაა. მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები დაუღალავად შრომობენ, რომ 15 სექტემბრისათვის გაანაღდონ წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით ჩაბარონ მრეწველობას 75.000 კილოგრამი ნედლეული. ამ კოლმეურნეობის რგოლმა, რომელსაც მერი დოლიძე ხელმძღვანელობს, წლიური დავალება შეასრულა და ახლა გეგმის გადამეტებით 4.000 კილოგრამი ჩაის მოკრეფისათვის იბრძვის. ასეთი მაგალითი ბევრია.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მოწინავეთა გამოცდილება ყველგან როდია დანერგილი. არც ყველა რეზერვია სათანადოდ გამოყენებული. ჩაის კრეფა და დამზადება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 25 აგვისტოსათვის საქართველოში ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 65,5 პროცენტით, ქუთაისის ოლქში წლიური დავალება განაღდებულია 64,2 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 64,9 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში კი — 71,2 პროცენტით. ამ საქმეში ჩამორჩა თითქმის ყველა რაიონი და განსაკუთრებით აბაშის, წყალტუბოს, სამტრედიის, ცხაკაიას, წულუკიძის, ხობის, ტყიბულის, ჩხოროწყუს რაიონები, სადაც წლიური გეგმის შესრულება 40,6—61,7 პროცენტს არ აღემატება.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა, ვხედებით ფოთლის გაუხეშებას და დანაკარგს. საკმარისია ითქვას, რომ მახარაძის რაიონის მარტო სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობაში ფოთლის დანაკარგი საშუალოდ ჰექტარზე 500-600 კილოგრამს შეადგენს. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის ჩაის კრეფისა და დამზადების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებას.

ასეთი ჩამორჩენის მთელი სერიოზულობა სათანადოდ უნდა შეიგნონ და მისი ლიკვიდაციისათვის სასწრაფო ზომები მიიღონ საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრომ, ჩაის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, უზრუნველყონ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის აუცილებლივ შესრულება.

სუბტროპიკული რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს ამჟამად განსაკუთრებული ოპერატიულობა მოეთხოვებათ. მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა დაექვემდებაროს საბრძოლო ამოცანას — ჩაის კრეფისა და დამზადების გეგმის წარმატებით გაღაღდებას. მზადება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის უნდა დავუკავშიროთ ბოლშევიკურ ბრძოლას ჩაის კრეფაში ჩამორჩენის დასაძლევად. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაზე, იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულად იქნება გამოყენებული თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის შრომითი რესურსები ჩაის ფოთლის კრეფის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა მოაწყონ კოლმეურნეობის, მუშების მასობრივი გასვლა პლანტაციებში სამუშაოდ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა დაუწესდეს ჩაის კრეფის ყოველდღიური დავალება იმ ანგარიშით, რომ დამზადების სახელმწიფო გეგმა აუცილებლად შესრულდეს.

ნედლეულის დანაკარგი დანაშაულია პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე. მკაცრად უნდა დაისაჯონ ის პირები, რომლებიც ფოთლის გაუხეშებასა და დანაკარგს დაუშვებენ.

სექტემბერი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალების შესრულების გადამწყვეტი თვეა. ამ დღეებში ამინდმა ხელსაყრელი პირობა შექმნა ბუჩქების ზრდა-განვითარების დასაჩქარებლად. ახლა ფოთოლი კარგად შემოდის. სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა ისარგებლონ ამ მდგომარეობით, ხელიდან არ გაუშვან საუკეთესო მომენტი და უზრუნველყონ ჩაის განუწყვეტელი, ყოველდღიური კრეფა. დაგმობილ უნდა იქნას მავნე პრაქტიკა, როცა ზოგან ჩაის მანამდე არ კრეფდნენ, სანამ ფოთოლი მთელ ფართობზე არ შემოვიდოდა. არ უნდა დაკარგოთ არც ერთი ფოთოლი, მზრუნველობით მოვეპყროთ ჩაის თვითეულ ბუჩქს. ყოველი დღე, საათიც კი გონივრულად, ზუსტად უნდა გამოვიყენოთ და თვითეული ბუჩქისაგან ავიღოთ იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია.

აუცილებელია მოიკრიფოს როგორც ნორმალური, ისე ყრუ დუყები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ბუჩქებზე მათი დატოვება და გაუხეშება.

სოფლის მთელი ძალები უნდა დავიხარჯოთ ჩაის კრეფაში მკვეთრი გარდატეხის მისაღწევად. ჩაის მეურნეობის დარგში შეძენილი მდიდარი გამოცდილება, უხვი მოსავლის ოსტატთა მუშაობის შესანიშნავი ხერხები, სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართოთ სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულდეს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის მაისის პლენუმზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ თქვა: „პარტიის ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებმა, ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ბეჯითად უნდა იმუშაონ, რომ დაიჭარონ ჩაის ფოთლის კრეფა. საქართველოში არ უნდა იყოს ისეთი რაიონი, რომელიც არ შეასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმას, ისეთი რაიონი, რომელიც არ მოგვცემს მხოლოდ მაღალი ხარისხის ჩაის ფოთოლს“. ეს მითითება განუხრელად უნდა შესრულდეს.

ჩაის რაიონების მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის გახსნის დღე აღნიშნონ ახალი წარმატებებით ჩაის კრეფა-დამზადების დარგში.

საპატიო მეშახტეები

მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ა. ფ. ზასიადკომ „საპატიო მეშახტის“ წოდება მიანიჭა და დაწესებული სამკერდე ნიშანი და მეშახტის საპატიო მუნდირი გადასცა დონბასის, კუზბასის, ურალის, ყარაგანდისა და ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის სხვა აუზების 2.087 მიწისქვეშა მუშას, ბრიგადირს, სამთო ოსტატსა და შახტმშენებელს.

ახალ საპატიო მეშახტეთა შორის არიან ქვანახშირის კომბაინებისა და საყელავი მანქანების წარჩინებული მემანქანეები, ამწმენდები, გვირაბგამყვანები, მებიგეები, რომლებმაც შახტებში 10 წელზე მეტხანს იმუშავეს და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს გამომუშავების ნორმები. (საკ. ინ.).

დიდი მოგებანი

24 აგვისტოს ტიუმენში მოხდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟი. გათამაშებულ იქნა 520.116.400 მანეთის 1.949.250 მოგება.

50 ათასი მანეთი მოგება ხვდა ამ სესხის ყველა 226 თანრიგის 045545 სერიის №04 ობლიგაციას.

25 ათას მანეთ მოგებას მიიღებენ 055110 სერიის № 37, 056590 სერიის № 33 ობლიგაციების პატრონები.

10 ათასი მანეთი მოგება ხვდა 041274 სერიის № 09, 041538 სერიის № 37, 041784 სერიის № 36, 048063 სერიის № 45, 051766 სერიის № 47 ობლიგაციებს.

ტირაჟში გათამაშდა აგრეთვე ხუთიათასმანეთიანი, ათას, ხუთას და ორასმანეთიანი ბევრი მოგება. (საკ. ინ.).

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას

○ ○ ○

საჭიროა ყოველი ღონისძიებით დახმარება გაეწიოს სამრეწველო და საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორებს, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავეებს მათს მისწრაფებაში — გაადიდონ წარმოება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ თვითღირებულება.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტიდან.

ზესტაფონელ მეჯალურგთა ვალდებულებანი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის სამრეწველო-სატრანსპორტო საწარმოებისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები უდიდესი აღტაცებითა და ახალი შრომითი აღმავლობით შეეგებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში აგიტატორები მშრომელებს აკნობენ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს.

სადნობი საამქროს ცნობილმა სტახანოველმა მდნობელმა ი. აბესაძემ თქვა:

— მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ჩვენი ბრიგადის სახელით ვკისრულობ სულ მცირე 10 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულოთ აგვისტოსა და სექტემბრის გეგმა, დიდი რაოდენობით დავზოგოთ ძირითადი ნედლეული და ელექტროენერგია, გამოვუშვათ მხოლოდ მაღალხარისხოვანი შენადნობი.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება სულ უფრო ფართოდ ჩაღდება რაიონის კოლმეურნეობებშიც.

ჩვენი სამშობლოს შემდგომი ძლიერებისათვის

გამოქვეყნდა თუ არა გაზეთებში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ, თბილისის მექანიკური ქარხნის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ვ. ვაჭარიანმა აგიტატორთა მეცადინეობა გამართა, განუმარტა მათ, როგორ მოაწყონ ყრილობის მასალების პოპულარიზაცია.

აგიტატორებმა პირველი საუბრები მიუძღვნეს სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს.

საამწყობო საამქროში აგიტატორის საუბრის შემდეგ სტახანოველმა ზეინკალმა დ. ნადირაძემ განაცხადა: ახალი ხუთწლიანი გეგმა დაეჩქარებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობას. დღეიდან ვდგები XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე და ვალდებულებას ვკისრულობ აგვისტოსა და სექტემბრის გეგმა შევასრულო 300 პროცენტით. ამავე საამქროს ზეინკალმა ბ. გრიზოვმა იკისრა დავალება შეასრულოს 300 პროცენტით და ვადაზე ორი თვით ადრე ზეინკალის პროფესია შეასწავლოს ერთ ახალგაზრდას.

სამჭედლო-საშტამპო საამქროს ოსტატმა ა. დანელიანმა საამქროს სახელით იკისრა აგვისტოსა და სექტემბრის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით დიდი გადაჭარბებით შეასრულონ.

მექანიკური საამქროს ზეინკალმა ს. ნიკოლაიშვილმა და ხარატმა ნ. რუსიშვილმა გადაწყვიტეს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად დავალებანი სამმაგად გაანაღდონ.

საინსტრუმენტო საამქროს ხარატმა ვ. კალანდაძემ აღნიშნა, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტით დასახულია გრანდიოზული სამუშაოები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გათვალისწინებულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. ამ გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად, — თქვა მან, — საჭიროა თვითეულმა ჩვენგანმა ძალების დაუზოგავად ვიმუშაოთ, გეგმა შევასრულოთ დიდი გადაჭარბებით. პირადად მე ვკისრულობ ყოველდღიური დავალება შევასრულო 300 პროცენტით და გამოვუშვა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია.

გაორკეცებული ენერგიით შრომობს ქარხნის მთელი კოლექტივი, რომელიც XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგა.

მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა იკისრა მარგანეცის გამოღების აგვისტო-სექტემბრის გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა—115 პროცენტით, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესოს მადნის ხარისხი.

ამ მაღაროს სამგზის ორდენოსანმა სტახანოველმა კ. ღავთაძემ განაცხადა:

— პარტიის XIX ყრილობის მოწვევა უდიდესი მოვლენაა ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ვკისრულობ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდე ყრილობის გახსნის დღეს და აგვისტო-სექტემბრის გეგმა 180 პროცენტით შევასრულო.

ასეთივე გადიდებული ვალდებულებები აიღეს მაღაროელებმა ტ. ჭიღლადეძემ, ა. გოგატიშვილმა, გ. კუპატაძემ, ა. ჭიღლაძემ და სხვებმა.

მაღაროს კოლექტივმა ჭიათურის მაღაროელებს მიმართა მოწოდებით—გაახალონ ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

დიმიტროველებს ერთსულოვნად უჭერენ მხარს ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, ბერიას სახელობისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ისინი აგვისტო-სექტემბრის გეგმის 105-110 პროცენტით შესრულებას კისრულობენ.

ჭიათურელი მაღაროელები კონკრეტული საქმეებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მათ ვადამდე შეასრულეს რვა თვის საწარმოო დავალება და ახლა მარგანეცს სექტემბრის ანგარიშში იძლევიან.

შრომის ვახვაზე

ჩვენი ბრიგადა, რომელიც ყველაზე მოწინავეა კოლმეურნეობაში, ყოველ წელიწადს უხვ მოსავალს იღებს. ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი 190 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 19,5 ცენტნერი ხორბალი, ხოლო 40 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე—25 ცენტნერი.

კარგად გვაქვს მოვლილი შაქრის ჭარხლის პლანტაციები და სიმინდის ნათესები. ვიბრძვით იმისათვის, რომ 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ცალკეულ ნაკვეთებზე კი 800-900 ცენტნერი. ჰექტარზე მივიღებთ 40 ცენტნერ სიმინდს. ბრიგადას თვითეული წევრი თავდადებით მუშაობს, რათა პირნათლად შეასრულოს ვალდებულება და მნიშვნელოვნად გადიდოს მოსავლიანობა. მუშაობაში ფართოდ ვიყენებთ მოწინავეთა გამოცდილებას.

პარტია, დიდი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი აღმავლობისათვის. მძლავრი ტექნიკით მუდამ ვაუმჯობესებთ მიწათმოქმედების კულტურას. სატრაქტორო და საკოლმეურნეო ბრიგადების მჭიდრო თანამეგობრობით ახალ წარმატებებს მივაღწევთ მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღების საქმეში. ამ მიზნით ფართოდ გავაჩაღეთ მუშაობა. გაცხოველებით ვემზადებით საშემოდგომო თესვისათვის. ეწმენდთ და ვახარისხებთ თესლს, წესრიგზე მოგვყავს იარაღ-მანქანები, ვხნავთ ფართობებს და ნიადაგში შეგვაქვს სასუქები. პირობას ვიძლევით, რომ ყრილობას თესვის გეგმის შესრულებით შევხვდებით.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება. ჩვენ შეგნებული გვაქვს ამ დიდი ამოცანის სერიოზულობა და ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ მიწათმოქმედების კულტურის გადაჭრით ამაღლებისათვის.

ჩვენი ბრიგადა XIX პარტიული ყრილობის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დადგა და თავდადებით მუშაობს, რათა ახალი წარმატებებით შეხვდეს კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას და სამშობლოს სულ უფრო მეტი რაოდენობით მისცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

კასპის რაიონის სოფელ მეტეხის ბოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადის ბრიგადირი: ი. ლომიაშვილი, ბრიგადის წევრები: ვ. პატარაძალაშვილი, დ. შაქარაშვილი, თ. ბამულაშვილი, ვ. ბალაციძე, ვ. ბამულაშვილი, თ. კოტრიკოტაშვილი.

თბილისის საელმავლო დეპოს უფროსი მემანქანის ამხ. გ. ბერუაშვილის ინიციატივით დეპოში შეიქმნა ელექტრომავალთა კოლონა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად. ამ კოლონის თვითეულმა მემანქანემ იკისრა თავისი ელექტრომავლით გეგმის გადამეტებით გადაზიდოს 15 ათასი ტონა ტვირთი და შემადგენლობა დანიშნულების ადგილას მიიყვანოს გრაფიკთან შედარებით 25 წუთით ადრე. **სურათზე:** ელექტრომავლების კოლონის მონაწილე უფროსი მემანქანეები (მაცხონიდან მარჯანიშვილი) ო. ლიკლიკაძე, გ. ლიკლიკაძე, გ. ბოგვერაძე და გ. ბერუაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალი შრომითი აღმავლობა

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურელ რკინიგზელთა შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

საელმავლო დეპოს წარჩინებულმა მემანქანემ ვ. კიკნაძემ, რომელიც გულდასმით გაეცნო პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს, განაცხადა:

— ცნობამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ერთსულოვანი აღფრთოვანება გამოიწვია. ვალდებულებას ვკისრულობ უწუნოდ და შეუფერხებლად ვატარო ელექტრომავალი, მნიშვნელოვნად გადავაჭარბო მატარებლის გარბენის სადღეღამისო დავალებას, გავზარდო ტექნიკური სიჩქარე.

— ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში, — თქვა უფროსმა მემანქანე შ. ბოლოკაძემ, — დიდი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა რკინიგზელებმა. როგორც მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატი, ვალდებულებას ვკისრულობ მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბერში გეგმის გადამეტებით გადავზიდო 1.200 ტონა ტვირთი, არ დავუშვა წუნისა და ავარიის არც ერთი შემთხვევა.

პარტიის XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მემანქანეებმა მ. ტყეშელაშვილმა, გ. გოგოლაძემ, მ. თუთისანმა, შ. კაპანაძემ, გ. რიყამაძემ, ი. ლაბაძემ და სხვებმა. ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ახალი კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს ხაშურის საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების, სალინდაგო და კავშირგაბმულობის დისტანციებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

გაჩაღდა შეჯიბრება

გურჯაანი. (საკ. კორ.). მტს-ის მუშაკები პარტიის XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. სალეწ მანქანებზე მომუშავენი საწარმოო დავალებას ორმაგად და უფრო მეტად ასრულებენ. მექანიზატორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ველოსიპედის მტს-ის მუშაკები.

გურჯაანელი მექანიზატორები ნაკისრ ვალდებულებას კარგად ასრულებენ. გეგმით 1.250 ტონა უნდა გალეწათ, 23 აგვისტოსათვის 1.300 ტონა გალეწეს. სალეწზე მომუშავე გ. ბერიაშვილმა 15 დღეში გალეწა 338 ჰექტარზე აღებული მოსავალი. იგი საათობრივი გრაფიკით მუშაობს. ფ. გიგოლაშვილმა 280 ჰექტარზე მომკილი მოსავალი გალეწა.

მტს-ში დღითიდღე ძლიერდება მუშაობის ტემპი.

მეცხვრეთა ნარმაგება

მახარაძე. („კომუნისტის“ კორ.). გაჩაღდა ციტრუსოვანი კულტურების მყნობა. ურეკის სახელმწიფო სანერგემ წელს უნდა დაამყნოს 650.000 ძირი ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი.

სანერგის მუშაკები სიხარულით შეხვდნენ ცნობას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ და ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. მყნობელმა ივანე ურუშაძემ ერთ დღეს დაამყნო 11.258 ძირი მანღარინი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ძირისა, ალექსანდრა კოვალიოვამ კი 8.273 ძირი. თავიანთ მუშაობაში მათ გამოიყენეს ცნობილი მყნობელის ამხ. შოთა გოგუაძის მეთოდი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცხრე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცხრე ტომი.

თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ოცდამეცხრე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც მიეკუთვნება 1919 წლის მარტიდან აგვისტომდე განვლილ პერიოდს. მასალები „რკპ(ბ) პროგრამის პროექტისა“ დაწერილია 1919 წლის თებერვალ-მარტში; ტომში ეს მასალები წამძღვარებული აქვს რკპ(ბ) VIII ყრილობის დოკუმენტებს, რომლებთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული.

ტომში შესულ ნაწარმოებთა უმრავლესობას შეადგენს ლენინის მოხსენებები და სიტყვები ყრილობებზე, კონფერენციებზე, კრებებსა და მიტინგებზე. ამ ნაწარმოებებში ასახულია ვ. ი. ლენინის სახელმწიფო მოღვაწეობა და გაშუქებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები იმ პერიოდისა: სოციალისტური სამშობლოს დაცვა, დამოკიდებულება საშუალო გლეხობისადმი და ბრძოლა სამეურნეო სიძნელეებთან.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ლენინის მოხსენებები და გამოსვლები რკპ(ბ) VIII ყრილობაზე — ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება და საბოლოო სიტყვა პარტიული პროგრამის შესახებ, მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და სხვ.

მთელი რიგი ნაწარმოებები: „მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ“ მოსკოვის საბჭოს 1919 წლის 3 აპრილის პლენუმის საგანგებო სხდომაზე, „წერილი პეტროგრადის მუშებს აღმოსავლეთის ფრონტის დახმარების შესახებ“, „რკპ(ბ) ც. კ-ის თეზისები აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით“, „მოხსენება პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ფრონტისთვის მობილიზაციასთან დაკავშირებით“ პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს 1919 წლის 11 აპრილის პლენუმზე, „სიტყვა კოლჩაკთან ბრძოლის შესახებ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების კონფერენციაზე“ 1919 წლის 17 აპრილს და სხვები ეძღვნება მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მობილიზაციას კოლჩაკთან საბრძოლველად.

„წერილში მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო“ ლენინი აყალიბებს იმ ძირითად ამოცანებს საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში, რომლებიც გამომდინარეობს კოლჩაკის წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის გამოცდილებიდან.

მოხსენებაში „თანამედროვე მდგომარეობისა და საბჭოთა ხელისუფლების უახლესი ამოცანების შესახებ“ სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენელთა შეერთებულ სხდომაზე 1919 წლის 4 ივლისს, „მოხსენებაში რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის კონფერენციაზე“ 1919 წლის 12 ივლისს, „სიტყვაში სასურსათო და სამხედრო მდგომარეობის შესახებ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, პროფკავშირებისა და მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა მოსკოვის კონფერენციაზე“ 1919 წლის 30 ივლისს და სხვ. ლენინი მოუწოდებს მასებს დაძაბონ მთელი ძალღონე დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ნაწარმოებებში, ისე როგორც ტომში შესულ სხვა ნაწარმოებებში, ლენინი განმარტავს საბჭოთა სასურსათო პოლიტიკის საფუძვლებს და სახავს ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

სტატიებში „მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში“, „III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ“ და სხვ. ლენინი ცხადყოფს III კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას და განსაზღვრავს მის ამოცანებს.

„სიტყვაში თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ“ სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წლის 19 მაისს და „სიტყვაში განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე“ 1919 წლის 31 ივლისს ლენინი ავითარებს პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ თეორიას, აამჟღავნებს წინააღმდეგობას პროლეტარულ და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის.

სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ“ გადმოცემულია საფუძვლები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა სახელმწიფოზე — მის წარმოშობასა, დედაარსსა და ისტორიულ ფორმებზე.

ტომში შედის ლენინის ცნობილი ნაშრომი „დიადი თაოსნობა“, რომელშიც ის შეფასებას აძლევს პირველ კომუნისტურ შაბათობათა როლს და გვიჩვენებს შრომის მაღალი ნაყოფიერების გადამწყვეტ მნიშვნელობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ტომში ქვეყნდება 15 ახალი დოკუმენტი, რომლებიც წინათ ვ. ი. ლენინის თხზულებებში არ შედიოდა. ნაწარმოებში „პასუხი ბარათებზე“ პეტროგრადის საბჭოს 1919 წლის 12 მარტის სხდომაზე ლენინი ახასიათებს სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობას.

თხზულებებში პირველად იბეჭდება: ოთხი დეპეშა ი. ბ. სტალინს (1919 წლის მაისი-ივნისი), „პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილებისა პეტროგრადის ფრონტის შესახებ“, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს, აგრეთვე ლენინისა და სტალინის მიერ ხელმოწერილი „პროექტი ც. კ-ის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ“. ამ დოკუმენტებში ასახულია ლენინისა და სტალინის ერთობლივი მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობის საქმეში.

მიმართვაში „უფრთხილდით ჯაშუშებს!“ ლენინი წინადადებას იძლევა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

რკპ(ბოლშევიკების) ც. კ-ის წერილში „ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად!“ ლენინი ამოცანად სახავს ყველა დაწესებულების გარდაქმნას სამხედრო ყაიდაზე და ჩვენი ქვეყნის გადაქცევას ერთიან სამხედრო ბანაკად დენიკინზე გამარჯვების მოსაწყობად.

დოკუმენტში „დამატება გერმანელი მუშებისა და იმ გლეხებისადმი მიმართვის პროექტისა, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან“ ლენინი აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მთელი მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობის ზრდას და ახასიათებს II ინტერნაციონალის ლიდერებს, როგორც სოციალიზმის გამცემლებს და ბურჟუაზიის დანაშაულობათა თანამონაწილეებს.

ტომში პირველად ქვეყნდება დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე (1919 წლის აპრილის დამლევი).

„რკპ(ბ) პროგრამის პროექტში“ ჩართულია ახალი დოკუმენტები. „რკპ პროგრამის პროექტის შავად მოწახაზი“ ქვეყნდება საწერ მანქანაზე დაბეჭდილი ასლისა და ხელნაწერების მიხედვით პროგრამის ყველა განყოფილების ჩართვით. პროგრამის პროექტის შავად მონახაზის განყოფილება „პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში“ პირველად ქვეყნდება მთლიანად. შეტანილია აგრეთვე „ჩანართი ნაციონალურ საკითხზე პროგრამის მუხლის საბოლოო პროექტში“ და „რკპ(ბოლშევიკების) პროგრამის პროექტი“, რომელიც წარმოადგენს ლენინის მიერ გაკეთებულ პროგრამის პროექტის პირველ განყოფილებათა შემდგომ რედაქციას. (საკდესი).

დაიწყო წრიული არხის მშენებლობა ფახია-ფაშში

ტახია-ტაში, 24 აგვისტო. (საკდესი). აქ დაიწყო რვაკილომეტრიანი წრიული არხის მშენებლობა. მისი გაყვანით საფუძველი ეყრება თურქმენეთის მთავარი არხის აგების ძირითად სამუშაოებს.

წრიული არხის მშენებლობის დაწყების საპატიო უფლება მიენიჭათ ტახია-ტაშის სამშენებლო რაიონის საუკეთესო ბულდოზერისტებსა და სკრეპერისტებს. მანქანათა კოლონას, რომელიც შეუდგა მიწის სამუშაოებს, საოთავეში ჩაუდგა ვოლგადონელი ალექსანდრე კუთუეევი.

სკრეპერებისა და ბულდოზერების საშუალებით უნდა ამოღესოს ჯებირები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოთა ფრონტს მძლავრი მიწისმწოვი მანქანისათვის.

დადგნენ რა სტახანოვურ ვახტზე საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად, მშენებლებმა იკისრეს წრიული არხის მშენებლობა დაამთავრონ დასახულ ვადაზე ადრე.

დედაქალაქის სამდინარო ვაგზლის დღე

მოსკოვის ჩრდილოეთის სამდინარო ვაგზალი. აქ იწყება დიდი სანაოსნო გზა ხუთი ზღვისაკენ.

ევროპაში ყველაზე გრძელი, 3.267 კილომეტრი სიგრძის სამდინარო მარშრუტზე—მოსკოვ—დონის როსტოვის მარშრუტზე მუშაობენ საუკეთესო თბომავლები და გემები. 24 აგვისტოს 14 საათზე როსტოვისაკენ გაემართა გემი „მოსკოვის 800 წელი“. მალე ცენტრალურ ნავმისაბმელს მიუახლოვდა სამგზავრო თბომავალი „გიორგი სედოვი“, რომელმაც გაიარა რეისი ასტრახანი — მოსკოვი.

დილით, ჩვეულებრივ, ზედიზედ წავიდნენ რეისში საექსკურსიო თბომავლები და გასასეირნებლად წაიყვანეს მოსკოველები უჩინის წყალსაცავის თვალწარმტაცი ნაპირებისაკენ.

ნავიგაციის დაწყებიდან მოსკოვის სახელობის არხით ისეირნა 300 ათასმა კაცმა. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

უნარიანად შევახამოთ პარტიული და სამეურნეო მუშაობა

სუხუმის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

★ ★ ★

შედგა სუხუმის საქალაქო პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის და სუხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. გეთიამ.

— საანგარიშო პერიოდში, — თქვა ამხ. შ. გეთიამ,—სუხუმის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია მრეწველობაში და ტრანსპორტზე შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, ტექნიკის გაცილებით უკეთ გამოყენებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. სუხუმის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 1951 წლის გეგმა. მიმდინარე წლის შვიდი თვის დავალება განაღდებულია ვადამდე და მნიშვნელოვანი გადამეტებით. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ქალაქის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება წარმოების ეკონომიკას, აკვლევს გამოუყენებელ რეზერვებს, პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებით წარმატებით რაზმავს საწარმოთა კოლექტივს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან ტყავფეხსაცმლის კომბინატის, საკოსნერვო ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციები.

არის ნაკლოვანებანიც. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია თავს ვერ ართმევს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, ცუდად რაზმავს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივს საწარმოო გეგმების შესრულებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

საქალაქო კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ. შეძლო ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენის ლიკვიდაცია, ვერ მიაღწია იმას, რომ სუხუმის ყველა საწარმო ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს გეგმას.

თევზის ქარხანა, ხორცკომბინატი, ლიმონათის ქარხანა და მთელი რიგი სხვა სამრეწველო საწარმოები ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს. ამ საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად არის დაყენებული.

შეეხო რა კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, ამხ. შ. გეთიამ აღნიშნა, რომ ქალაქში შენდება რამდენიმე ახალი სამრეწველო საწარმო, მაგრამ მთელ რიგ მშენებლობებზე მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

უკანასკნელ წლებში სუხუმს შეემატა ახალი ლამაზი შენობები, პარკები, სკვერები, მრავალი ათასი მწვანე ნარგავი. ერთი წლის წინათ სუხუმის მთაზე სახალხო მშენებლობის მეთოდით გაშენდა შესანიშნავი ტყე-პარკი. სუხუმელთა თავდადებული შრომის მაღალ შეფასებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ მთას მიეკუთვნა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი.

ქალაქის მსხვილი კეთილმოწყობილი ობიექტებია სუხუმის ვაგზალი, რომლის მშენებლობა საანგარიშო პერიოდში დამთავრდა, და თბილისის გზატკეცილი, რომელიც ქალაქის საუკეთესო მაგისტრალად გადაიქცა. ამ დღეებში დამთავრდება სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი შენობა.

სუხუმის შემდგომი კეთილმოწყობის დარგში საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი მუშაობის მიუხედავად, ამ საქმეში ცოტა როდია გადაუწყვეტელი ამოცანები.

ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს საბინაო მშენებლობა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით, არსებული საცხოვრებელი ფონდის რემონტი და დაცვა.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სუხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მისმა საბინაო სამმართველომ სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს სუხუმის X საქალაქო პარტკონფერენციაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან. საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო კანტორა (უფროსი ამხ. ა. ასათიანი) ცუდად მუშაობს. საბინაო ფონდის რემონტისათვის გამოყოფილი სახსრები კანტორამ მიმდინარე წლის შვიდ თვეში მხოლოდ 39,4 პროცენტით ათვისა, ამასთან ბევრ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლების რემონტი დაბალხარისხოვნად არის შესრულებული.

მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს.

ხელმძღვანელობს რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის მითითებებით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და უკანასკნელი პლენუმების დადგენილებები, სუხუმის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური სწავლების სხვადასხვა ფორმაში ჩაბმული იყო პარტიის 3.388 წევრი და კანდიდატი, თვითგანათლების მეთოდით სწავლობდა 2.136 კაცი. პროპაგანდისტებად და კონსულტანტებად მუშაობდნენ სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე ამხანაგები. სისტემატურად იკითხებოდა მაღალკვალიფიციური ლექციები, მოხსენებები და სხვ. სულ სასწავლო წლის განმავლობაში პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ძალებით წაკითხულ იქნა 417 ლექცია სხვადასხვა საინტერესო თემებზე. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი პარტიული განათლების საქმეში, და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანებზე.

საანგარიშო პერიოდში სუხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა რიცხობრივად და განმტკიცდა ორგანიზაციულად. შეიქმნა 17 ახალი პირველადი პარტორგანიზაცია. პარტიის რიგებში მიღებულია ასობით მოწინავე ადამიანი. შესამჩნევად ამაღლდა პარტიული კრებების, როგორც კომუნისტების აღზრდის სკოლის, როლი და მნიშვნელობა.

ქალაქის მშრომელთა შორის უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მშრომელთა ეს აქტივობა იმის საწინდარია, რომ ისინი, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებს.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. პირველი გამოვიდა ტყავფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ჩიქოვანი.

ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის გაძლიერების, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, კომბინატმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა როგორც მთლიანი მაჩვენებლების, ისე ასორტიმენტის მიხედვით. მაგრამ წარმატებებთან ერთად, თქვა ამხ. ჩიქოვანმა, უნდა აღინიშნოს ნაკლოვანებანიც. კერძოდ, კომბინატი ჯერ კიდევ ვერ მუშაობს რიტმულად, გამართულად. ამის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ცუდად ამარაგებს მას ნედლეულით. ხშირ შემთხვევაში აგზავნიან ისეთ მასალებს, რაზეც მოთხოვნილება სრულებით არ არის. ეს კი იწვევს ასორტიმენტის დარღვევას.

ამხ. ჩიქოვანმა გააკრიტიკა კომკავშირის სუხუმის საქალაქო კომიტეტი, კომბინატის კომკავშირის ორგანიზაციისადმი სუსტი დახმარებისათვის.

სუხუმის ლიმონათის ქარხნის დირექტორმა ამხ. რ. გრძელიშვილმა, ილაპარაკა რა ქარხნის ჩამორჩენაზე, აღნიშნა, რომ ეს ჩამორჩენა მარტო იმით როდია გამოწვეული, რომ აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო და მთავარკურორტვაჭრობის აფხაზეთის საოლქო კანტორა არ უწევენ მას საჭირო დახმარებას და დროზე არ გააქვთ მზა პროდუქცია. ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობა. მათ ვერ შექმნეს საჭირო პირობები ქარხნის შეუფერხებელი მუშაობისათვის. საქალაქო კომიტეტიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ანხორციელებს დახმარებას. მისი განყოფილებების გამგეები და ინსტრუქტორები იშვიათად მიდიან ქარხანაში, რათა დაეხმარონ პარტორგანიზაციას პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის უკეთ მოწყობაში.

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. წერეთელმა. მიუხედავად იმისა, — თქვა მან, — რომ ამ მხრივ სერიოზული მუშაობაა გაწეული, ჯერ კიდევ არის საგრძნობი ნაკლოვანებანი. აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტრო, კერძოდ მისი საკონტროლო-სარევიზიო აპარატი სუსტად იბრძვის გაფლანგვა-მტაცებლობის შემთხვევების გამოსავლინებლად. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სამინისტროს საბიუჯეტო განყოფილება. ეს ნაკლოვანებანი თავიდან იქნებოდა აცილებული, პარტორგანიზაცია კარგად რომ მუშაობდეს.

თამბაქოს ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მ. ხვიჩიამ კონფერენციის მონაწილეებს უამბო, თუ რა ღონისძიებანი განახორციელეს ადმინისტრაციამ და პარტორგანიზაციამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ და ქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებში ფაბრიკის ჩასაყენებლად.

პარტიული ორგანიზაციების სისტემატური დახმარებით, — თქვა ამიერკავკასიის რკინიგზის სუხუმის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. გ. თევზაძემ, — განყოფილებამ წარმატებს მიაღწია. გადაჭარბებით შესრულდა დატვირთვის გეგმა, გაუმჯობესდა ვაგონებისა და ორთქლმავლების ბრუნვა. სუხუმის განყოფილებამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრისა და იანვლისის მაჩვენებლების მიხედვით ამიერკავკასიის განყოფილებებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. ეს წარმატებანი სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის სწორად შეხამების შედეგია. პოლიტგანყოფილება ფართოდ ნერგავს მოწინავე ადამიანთა გამოცდილებას, ნოვატორთა ახალ წამოწყებას ყველა რკინიგზელის საკუთრებად ხდის.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ნაჭყებიამ კონფერენციის დელეგატებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება ქალაქის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში. კეთილმოწყობის სამუშაოები მომავალში უფრო ფართო მასშტაბით გაჩაღდება. მან მართებულად ცნო დელეგატების შენიშვნები აღმასკომის განყოფილებების არასაკმაო მუშაობის გამო.

კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო სათანადო დადგენილება. ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე აფხაზეთის XX საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორის, მშვიდობის დიდი მეთაურისადმი—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებს ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, გ. მ. მალენკოვს, ლ. პ. ბერიას.

* * *

შედგა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. თ. ოდიშარია, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ჩაგუნავა, მდივნად — ამხ. კ. უბილავა.

ნაკლოვანებათა ბოლშევიკური მხილების გზით

სტალინირის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

★ ★ ★

სტალინირის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო და სტალინირის საქალაქო კომიტეტების მდივანმა ამხ. ა. იმნაძემ გააშუქა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები, მიუთითა ქალაქის საშეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებებზე.

მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს. საანგარიშო პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტი უფრო ღრმად სწვდებოდა საწარმოთა ეკონომიკას. პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად გარკვეული მიღწევებია მოპოვებული სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში.

ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საწარმოა ხე-ტყის კომბინატი, რომლის კოლექტივს ყველა შესაძლებლობა აქვს წარმატებით შეასრულოს მის წინაშე დასახული ამოცანები. მაგრამ კომბინატის ყოფილი დირექტორის ს. სამხარაძის უხეირო მუშაობამ, პირველადი პარტორგანიზაციის მიერ საშეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლების უგულებელყოფამ ხელი შეუშალა კომბინატის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებას.

ქალაქის ადგილობრივ მრეწველობას განვითარების ფართო პერსპექტივები აქვს. ადგილობრივი მრეწველობისადმი პარტიული ორგანიზაციების დახმარების გაძლიერებით მთელ რიგ ობიექტებზე გადაჭრით გაუმჯობესდა საწარმოო პროცესები. გაფართოვდა მექანიკური ქარხანა. უკეთ არის გამოყენებული მექანიზმები, 18 პროცენტით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, მექანიკურ ქარხანას დღემდე არა აქვს მტკიცე სამუშაო გეგმა, მისი მუშაობა აგებულია შემთხვევით შეკვეთებზე.

საანგარიშო პერიოდში მუშაობა გაუარესდა აგურის ქარხანაში. ქარხანა დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებს, ამასთან გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება.

ქალაქის სამრეწველო კომბინატის დირექტორი ხ. კაბისოვი და საოლქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგე დ. გაბარაევი საჭირო მომთხოვნელობასა და მოქნილობას ვერ იჩენენ. ამის შედეგად სამრეწველო კომბინატის მუშაობაში ნაკლოვანებებია. გამოშვებული პროდუქცია დაბალხარისხოვანია.

საანგარიშო მოხსენებაში სერიოზული ადგილი ჰქონდა დათმობილი ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს.

კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების, მისი გამგის ს. გაგლოევის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე.

ამხ. ა. იმნაძემ ფართოდ გააშუქა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები, ვრცლად შეჩერდა კადრების იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობისათვის ქალაქის პარტორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობაზე. პოლიტიკური განათლების ქსელში, მიუხედავად მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, კვლავ ვხედებით ნაკლოვანებებს. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია (საოლქო საბჭოს აღმასკომის, კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის და სხვ.) სათანადოდ არ აწყობს კომუნისტთა სწავლებას. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე 825 ამხანაგიდან ინდივიდუალური მუშაობის გეგმები ვერ შეასრულა 460 კომუნისტმა.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის გასაჯანსაღებლად. ამასთან კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ოლქის მხატვრები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ტილოების შესაქმნელად.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხნენ დელეგატები ს. მელქოევი და ვ. ჯიოევი. ამხ. ს. მელქოევმა აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკები საწარმო-დაწესებულებებში ყოფნის დროს არ იჩენენ ინტერესს იმისადმი, რომ გაეცნონ კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებას. პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ნაწილი ახალგაზრდობის წინაშე საანგარიშო პერიოდში არც ერთხელ არ გამოსულა პოლიტიკური მოხსენებით.

სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაბალ დონეზე დგას იდეოლოგიური მუშაობა. ამიტომ იყო გამოწვეული, რომ უკანასკნელ ხანებში სტუდენტთა შორის გამოვლენებულ იქნა საბჭოთა ახალგაზრდობისათვის შეუფერებელი და მიუღებელი ქცევის შემთხვევები.

ხე-ტყის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ა. მაისურაძემ აღნიშნა, რომ საქალაქო კომიტეტის მუშაკები კომბინატში მისვლისას მხოლოდ პარტბიუროს მდივნის საქმიანობას ეცნობიან, არ აგონდებათ ბიუროს წევრები, არ ეხმარებიან მათ თავიანთი მოვალეობის გარკვევაში. ამხ. ა. მაისურაძის გამოსვლიდან ჩანდა, რომ ისიც ნაკლებად ერკვევა პარტიული და სამეურნეო საქმიანობის შეხამების საკითხში. მან ძალიან ბევრი ილაპარაკა საშეურნეო საქმიანობაზე, ხოლო გაკვრით შეეხო მთავარ საკითხს—პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობას.

ასეთივე ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა საოლქო საავადმყოფოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. ვ. ცოტნიაშვილის გამოსვლა. იგი დაწვრილებით ლაპარაკობდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელში არსებულ ნაკლოვანებებზე. ხოლო როგორ იბრძვის პარტორგანიზაცია მედიცინის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათ შორის პოლიტიკური მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად, ამის შესახებ მან არაფერი თქვა.

კონფერენციაზე საკუთარი შეცდომების კრიტიკით გამოვიდნენ ლუდის ქარხნის დირექტორი ამხ. ი. ლექავა, მექანიკური ქარხნის დირექტორი ამხ. ს. ჯატიევი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. კულუხოვი. მათ პირობა მისცეს კონფერენციას, რომ შემდგომში ათელი პასუხისმგებლობით იბრძოლებენ საბჭოთა კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის.

კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. მ. თომაევას გამოსვლამ. მან არ მიიღო სამართლიანი კრიტიკა და არაფერი უთხრა დელეგატებს, თუ როგორ აპირებს სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

სტალინირვაჭრობის დირექტორმა ამხ. გ. ძუგაევმა აღნიშნა, რომ ქალაქის სავაჭრო ქსელში დიდი რაოდენობით არის ჩაწოლილი მომხმარებელთა მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად გამოგზავნილი საქონელი. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, რომლისთვისაც კარგად არის ცნობილი ვაჭრობის არასახარბიელო მდგომარეობა ქ. სტალინირში, ხაცვლად იმისა, რომ მუშაობის გასაუმჯობესებლად იზრუნოს, მიწერ-მოწერით არის გართული.

კონფერენციამ პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები

განუწყვეტლივ ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი

როდემდის გაგრძელდება ასე?

სამტრედია. (საკ. კორ.). ჩაის კრეფაში სერიოზული ჩამორჩენაა. 24 აგვისტოსათვის მოკრეფილია 347.967 კილოგრამი, წლიური გეგმით გათვალისწინებული 660 ათასი კილოგრამიდან. სოფელ ეწრის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე — კ. ზამთარაძე), კულაშის კალინინის სახელობის (თავმჯდომარე — ა. ხაჟალია), იანეთის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე— კ. ლეკვეიშვილი) კოლმეურნეობებს წლიური დავალება სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული.

ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შეუსრულებლობას „ობიექტური“ მიზეზებით ხსნიან. სინამდვილეში ჩამორჩენა ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულებით აიხსნება.

შრომისუნარიანი ყველა კოლმეურნე გამოყენებული არ არის პლანტაციებში სამუშაოდ. ამიტომ ყოველდღიურად რაიონში 1.900-2.000 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ, ფაქტიურად კი, წლიური გეგმა რომ შეასრულონ, ყოველდღიურად 8.000-მდე კილოგრამი უნდა მოკრიფონ.

ჩაის ბუჩქების „შესვენების“ დაგმობილ პრაქტიკას მიმართავენ სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, ჯიხაიშის კოლმეურნეობა „შრომაში“, ეწრის ბერიას სახელობის, კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ კოლმეურნეობებმა 17 აგვისტოს მხოლოდ 18-დან 74-მდე კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს, ნაცვლად 880-1.800 კილოგრამისა. სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ცალკეულ ნაკვეთებზე ფოთოლს ყოველდღიურად არ კრეფენ. მაგალითად, 15, 16, 17 აგვისტოს ყველა ნაკვეთზე ფოთოლი არ მოკრიფეს, მაშინ როცა ამის საშუალება იყო.

შემოუსვლელი ფოთოლი მოკრიფეს სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“. სოფელ ტოლების 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის ზოგიერთ ბრიგადაში უხეშად არღვევენ აპრონულებს. ბუჩქებზე ბევრი გადაუხეშებული დუყია.

პარტიის სამტრედიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი მოწოდებული არიან გადამჭრელი ზომები მიიღონ ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად, ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობას.

ფოთოლი აარის, გეგმა აარ სრულდება

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ თხინის კოლმეურნეობა „სიხარული“ ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა ოჩამჩირის რაიონში. ჩაის კულტურას აქ 145 ჰექტარი უკავია. კოლმეურნეობამ წელს 280 ტონა ფოთოლი უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს. სეზონის დაწყების წინ კოლმეურნეებმა იკისრეს 426 ტონის მოკრეფა.

როგორ ასრულებენ კოლმეურნეები ნაკისრ ვალდებულებას? არადამაკმაყოფილებლად. მაისის, ივნისისა და ივლისის დავალება კოლმეურნეობამ სანახევროდაც ვერ შეასრულა, აგვისტოს პირველი ნახევრის გეგმა კი მხოლოდ 9,5 პროცენტით გაანაღდა.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა ყველა პირობა არსებობს გეგმის შესრულებისათვის. ჩაის ფოთოლი უხვად არის, მაგრამ მოუგვარებელია მისი სისტემატური, დროული კრეფა. აქ ყოველდღიურად 6 ტონაზე მეტი ფოთოლი უნდა მოკრიფონ, მაგრამ 3-3,5 ტონას ძლივს კრეფენ.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა. შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი გამოყენებული არ არის ჩაის სამუშაოზე. ზოგი ყოველდღიურ დავალებას ვერ ასრულებს. კოლმეურნეები ჟ. ბიგვავა, მ. ცვიჟბა, კ. ჩალიგავა და სხვ. 30 კილოგრამის ნაცვლად, მხოლოდ 18-19 კილოგრამს კრეფენ.

რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობას მდგომარეობის გამოსწორებაში.

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 25 აგვისტოს ცნობებით

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის	აგვისტოს დასაწყისის	ჩოხატაურის	63,0	22,9
			ლანჩხუთის	65,9	31,2
			სამტრედიის	53,6	17,2
			წულუკიძის	53,8	14,7
			ქუთაისის	67,3	26,2
			წყალტუბოს	51,9	7,2
			ტყიბულის	60,9	22,1
			ცხაკაიას	53,8	18,0
			აბაშის	40,6	9,8
			გეგეჭკორის	66,6	36,8
			ზუგდიდის	63,4	29,1
			წალენჯიხის	68,6	40,8
			ჩხოროწყუს	61,7	26,6
			ხობის	54,0	18,8
			თერჯოლის	62,9	14,6
			ზესტაფონის	63,6	9,3
			სულ ქუთაისის ოლქში	**64,2**	**28,9**
			სულ საქართველოს სსრ-ში	**65,5**	**31,1**
ბათუმის	70,9	43,3			
ქობულეთის	71,3	44,1			
ქედის	90,0	37,5			
სულ აჭარის ასსრ-ში	**71,2**	**43,9**			
გალის	63,5	25,8			
ოჩამჩირის	62,5	23,9			
გულრიფშის	69,6	30,3			
სუხუმის	65,2	22,7			
გუდაუთის	79,2	60,2			
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**64,9**	**27,7**			
მახარაძის	68,1	33,5			

ფართოვდება საქართველოს დედაქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები

უკვე რამდენიმე თვეა წარმატებით გაჩაღდა მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის შემდგომი გამშვენიერებისა და კეთილმოწყობისათვის. თბილისის ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს ახალი ძალით და ენერგიით განაგრძონ ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით დაწყებული დიდი სამუშაოები საქართველოს დედაქალაქის—თბილისის საუკეთესო კეთილმოწყობილ ქალაქთა რიგში ჩასაყენებლად.

ბევრი რამ ახალი და კარგი კეთდება ამჟამად თბილისში. კეთდება ოპერატიულად, სწრაფად, საგულდაგულოდ. ამ სამუშაოთა მიმდინარეობას ხელმძღვანელობენ და თვალყურს ადევნებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო, რაც იმის საწინდარია, რომ აღარ იქნება დაშვებული მშენებლობათა გაჭიანურება, ბოლო მოეღება საქალაქო მეურნეობის საკითხებისადმი უდარდელ, ზერელე დამოკიდებულებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ 1952 წლის 5 ოქტომბერს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ, უმაგალითო შრომითი აღმავლობა გამოიწვია ახალი თბილისის მშენებლებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში. ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად, ქალაქის კეთილმოწყობის მთელ რიგ სამუშაოთა ვადამდე დამთავრებისათვის.

ქუჩებსა და მოედნებზე

ავტოტრანსპორტის უწყვეტი ნაკადით არის ავსებული დედაქალაქის ცენტრალური მაგისტრალები. ეს იმის მაჩვენებელია, რომ შეუდარებლად გაუმჯობესდა მოსახლეობის კეთილდღეობა, გაიზარდა ქალაქი და ამასთან ერთად მექანიზებული ტრანსპორტიც. მაგრამ ამ საერთო ზრდას საგრძნობლად ჩამორჩა საქალაქო მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიც არის საგზაო მეურნეობა.

ტრანსპორტის მოძრაობის გაძლიერებამ მთელ რიგ ქუჩებზე გამოიწვია ასფალტის საფარველის ტალღისებრი დეფორმაცია, დაბზარვა, ქუჩის სასიარულო ზოლების დაზიანება. ასე მოხდა რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, ბერიას მოედანზე, ლენინის ქუჩაზე და ა. შ.

ქალაქის ზოგი ცენტრალური მაგისტრალი, მათ შორის ლესელიძისა და მიასნიკოვის ქუჩები ზომაზე მეტად გადაიტვირთნენ ტრანსპორტით.

ორიოდე თვის წინათ, თბილისის საქალაქო მეურნეობის ამ დარგში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაწყებულ იქნა ლესელიძისა და მიასნიკოვის ქუჩებზე ტრამვაის ლიანდაგის აღება. ტრამვაის ლიანდაგი აიღეს და შეუდგნენ ქუჩების მოასფალტებას, რაც ამჟამად დამთავრებულია.

ამის პარალელურად დაწყებულ იქნა სხვა ცენტრალური ქუჩებისა და მოედნების — პუშკინის ქუჩის, რუსთაველის პროსპექტის, მუზეუმის ქუჩის, ბერიას და საკოლმეურნეო მოედნების ხელახლა მოასფალტება. ბერიას მოედნის მოასფალტება დამთავრებულია ზუსტად გათვალისწინებულ ვადაში და მაღალხარისხოვნად.

ქუჩებისა და მოედნების კეთილმოსაწყობად უახლოეს დროში გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა სამუშაოების შესრულება: რუსთაველის პროსპექტის დასაწყის უბანზე ბერიას მოედნიდან მუზეუმის ქუჩამდე უკვე განახლებულია ასფალტის საფარველი, შენელებულია მუზეუმის ქუჩის დაქანება. ლენინის ქუჩაზე ტრამვაის ლიანდაგის განახლების პარალელურად მიმდინარეობს ბაზალტის ქვისაგან ბორდიურების გაკეთება, დაიწყო ქუჩის მოასფალტება რუსთაველის მოედნიდან.

დიდი სამუშაოებია შესასრულებელი რუსთაველის მოედანზე და ამ მოედნის მიდამოებში. რუსთაველის მოედანი მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს, უნდა განხორციელდეს მახლობელი ქუჩების რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტში „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქალაქებისა და მუშათა საცხოვრებელი დაბების კეთილმოწყობას, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. მაშასადამე, კიდევ უფრო ფართო, ბრწყინვალე პერსპექტივები ისახება საქართველოს დედაქალაქის კომუნალური მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგშიაც.

წყალსადენის შეუფერხებელი მუშაობისათვის

თბილისის სწრაფი ზრდის დამახასიათებელია ქალაქის წყალსადენის ქსელის მდგომარეობაც. უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქის წყალსადენი ვეღარ აკმაყოფილებს მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებას, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი სასმელი წყალით მარაგდებოდა ორი წყალსადენიდან—ნატახტრისა და ავჭალის წყალსადენებიდან, ხოლო ქუჩებისა და მწვანე მასივების მოსარწყავად ქალაქს მდინარის წყალით ამარაგებდა რამდენიმე ათეული სატუმბავი სადგური.

ამჟამად ქალაქი ნაწილობრივ მარაგდება ბულაჩაურის წყალითაც. წყალზე მოთხოვნილება ახლო მომავალში საკმაოდ იქნება დაკმაყოფილებული.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სწრაფი ტემპით გაჩაღდა ბულაჩაურის წყალსადენის მეორე რიგის სამუშაოები. მშენებლებს მიცემული აქვთ დავალება ეს სამუშაო მოკლე დროში დაამთავრონ, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასმელი წყალის ქალაქისათვის მიწოდება რკალური სისტემით.

თბილისი. წარმატებით მიმდინარეობს ლენინის ქუჩის მოასფალტება. მასზე მოძრაობის შეუწყვეტლად. **სურათზე:** ლენინისა და ბელინსკის ქუჩების კუთხესთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მტკვრის სანაპიროებზე

დიდი ხანი როდია მას შემდეგ, რაც მტკვრის ცენტრალური სანაპიროები თბილისის მშვენებად გადაიქცნენ. ამ სანაპიროთა მშენებლობის, ისევე, როგორც სხვა მრავალზე მრავალი ახალი, დიდი სახალხო საქმის ინიციატორი და სულის ჩამდგმელია ამხანაგი ლ. პ. ბერია.

ამჟამად დაწყებულია მუშაობა ახალი სანაპირო ქუჩების გასაყვანად ბარათაშვილის ხიდიდან ორთაჭალამდე.

ეს სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. ბარათაშვილის ხიდიდან ბალნეოლოგიური კურორტის ზონამდე სანაპირო ქუჩაზე საყრდენი კედლების აგება მინდობილი აქვს თბილისმშენს, ხოლო საკურორტო ზონიდან ორთაჭალჰესის უბნამდე — ორთაჭალჰესის მშენებელთა კოლექტივს. ამ სამშენებლო ორგანიზაციებმა მინდობილი სამუშაო უკარესად მოკლე დროში უნდა შეასრულონ, რათა ამით არ შეფერხდეს ორთაჭალჰესის კაშხალის ბურჯებს შორის ლითონის დიდი ფარების დანიშნული ვადისათვის ჩაშვება.

სანაპიროების მშენებლებმა ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად იკისრეს სექტემბრიდანვე შეუდგნენ საყრდენ კედელთა დაბეტონებას, რათა 5 ოქტომბრისათვის ეს კედელი მრავალ გრძივ მეტრზე იქნეს მზად.

ბეტონის კედლებით შემოზღუდული მტკვრის კალაპოტში წყალის დაგუბება საკეთილო გავლენას მოახდენს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობაზე. დამშვენდება თვითონ მდინარე და ამასთან ქალაქსაც დაამშვენებს. წყალის დიდი მასა მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს თბილისის ჰავას. გარდა ამისა, მდინარის კალაპოტი ქალაქის ცენტრალურ უბნებში სანაოსნო გახდება, იქ შესაძლებელი იქნება სამდინარო ტრამვაის მოძრაობის მოწყობა.

* * *

მომხიბლავი პერსპექტივაა გადაშლილი თბილისის საქალაქო მეურნეობის წინაშე. ქალაქი იზრდება სიგრძითა და სიგანით, ახალი სამოსახლო უბნები ემატება მას დიღმის ველის, ავჭალის, სამგორის ველის მიმართულებით. მაგრამ ამ დიდ პერსპექტივასთან ერთად თბილისის ბოლშევიკები უფრო მცირე მასშტაბის სამუშაოებსაც არ ივიწყებენ.

საბურთალოდან საქართველოს სამხედრო გზატკეცილთან შესაერთებლად პარალელური ასაქცევი გზა უნდა გაიყვანონ. მალე უნდა შეუდგნენ გზის გაყვანას ლენინის რაიონიდან თბილისის წყალსაცავამდე. წელს უნდა დამთავრდეს ელბაქიძის ხიდის მშენებლობა, 125-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება კამოს ქუჩაზე, მთელი რიგი სხვა კომუნალური სახლების მშენებლობა ქალაქის სხვადასხვა უბნებში.

თბილისის მშენებლები ახლებურად თავიანთი მუშაობის პირველ შედეგებს პარტიის XIX ყრილობისათვის. მზადების ისტორიულ დღეებში შეაჯამებენ.

დ. ამირანიძე.

კომბაინზე აარიან ხუბაშვილები...

⊙

ა. თ ო მ ა ძ ე

⊙

იმ დღეს რაიონული გაზეთი წერდა: „კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ადამ ხუბაშვილმა, რომელმაც „სტალინეც-6“ კომბაინით კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში 1 აგვისტოს 26 ჰექტარზე აიღო მოსავალი და დუშეთის მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა“.

ღამდებოდა, როცა ეს სასიხარულო ამბავი შევიტყეთ. ძალიან გვსურდა სახელოვანი აგრეგატის კოლექტივის გაცნობა. ადამ ხუბაშვილი მაშინ ბაზალეთის ტბის ახლოს — „ნატბეურაზე“ მკიდა მოსავალს.

ჯერ ისევ ბნელოდა, ჩვენ რომ მოლიცლივე ტბასთან ვიყავით. მის ზედაპირზე უამრავ ვარსკვლავთა ანარეკლი ჩანდა. მარჯვნივ იყო ელექტრობით განათებული სოფელი ბაზალეთი. უკან, შემაღლებული ბორცვის გადაღმა, ავტომანქანების გუგუნი ისმოდა. ალბათ პური თუ მიჰქონდათ „ზაგოტზერნოში“ ჩასაბარებლად.

ცოტა ხანიც და აღმოსავლეთით ცას ნელნელა მტრედისფერი შეეპარა.

ღამაზია ბაზალეთის ველი ღრისით, კარგია ღამით, მაგრამ ყველაზე საინტერესო და ნამდვილი პოეტური ფერებითა და ხმებით არის შეზავებული გათენებისას, როცა მთებიდან წამოსული ღილის სინათლე შეუმჩნევლად მოიწევს, იღვიძებს ბუნება, ამოდის დიდებული შრომის ახალი დღე...

ასეთ დროს ადამიანი სიხარულით უცქერის მშობლიურ მინდვრებს და მის გონებაში უნებურად ცოცხლდება მხატვრის მიერ შთაგონებით შექმნილი ცნობილი სურათი „ჩვენი სამშობლოს დილა“. ისე როგორც სურათში, ბაზალეთშიც ჩანს ელექტროგადამცემი ხაზები, ტრაქტორები, კომბაინები. პეიზაჟს თავისებურ იერს აძლევს მთებისა და ველების უსაზღვრო სივრცეები.

ასეთია ბაზალეთის ველი ზაფხულის ამ მშვენიერ დილას. შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს მზის ამოსვლისას ანმაურებული ტბის ტალღები, იმ ტბის ტალღები, რომლის წარმოშობის შესახებ ჩვენმა ხალხმა შექმნა შესანიშნავი ლეგენდა და რომელსაც ესოდენ სიყვარულით უმღერა დიდმა ილიამ...

* * *

ჩვენს ქვეყანაში ტონს მოწინავე ადამიანები იძლევიან. დუშეთის მტს-ის წარჩინებულ კომბაინერებს ადამ ხუბაშვილს და ალექსი ნათელაშვილს რომ კითხოთ, როდის დაუფიქრდნენ სერიოზულად თავიანთ მუშაობას, გეტყვიან, რუსელ კომბაინერ იოსებ ტიტვინიძის წარმატების შემდეგო.

ეს მართალიც არის. სანამ რესპუბლიკური გაზეთები ამხ. ტიტვინიძის საწარმოო გამარჯვების ამბავს მოიტანდნენ, დუშეთელ კომბაინერები არც ისე სწრაფად, როგორც იტყვიან, საშუალოდ, მუშაობდნენ. მთავარი საზრუნავი იყო მკის მხოლოდ ყოველდღიური გეგმის შესრულება. მდგომარეობა შეიცვალა მაშინ, როცა ისინი მოწინავე მექანიზატორის გამოცდილებას გაეცნენ.

— ჩვენ ისე მოვიქცეთ, როგორც ი. ტიტვინიძე იქცევა, — უთხრა ნათელაშვილმა ხუბაშვილს, — შევეჯიბროთ ერთმანეთს და შედეგი ყოველდღიურად შევაჯამოთ. ამასთან ყურადღება მივაქციოთ არა მარტო მკის ტემპს, არამედ ხარისხსაც...

ხუბაშვილი დათანხმდა და თავისი აგრეგატისაკენ გაეშურა.

აღსანიშნავია, რომ ადამის აგრეგატის კოლექტივი ერთი ოჯახის წევრებისაგან შედგება. მისი უფროსი შვილი, კომკავშირელი ოთარი ტრაქტორისტია, ხოლო მეშტურვალედ უმცროსი—ნოშრევანი მუშაობს. იგი მოსწავლეა, მაგრამ ოჯახურ ტრადიციას არ ღალატობს და არდადეგების პერიოდში მამას კარგად ეხმარება.

იმ ღამეს ხუბაშვილებმა გულდასმით შეამოწმეს აგრეგატი, წესრიგში მოიყვანეს მარცვალმჭერები, შეაკეთეს ზოგიერთი ნაწილი და დილით ადრე, როცა ბაზალეთის ველზე ირიჟრაჟა, ჟ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პურის ყანაში შევიდნენ.

ასევე მოიქცნენ ალექსი ნათელაშვილის მეგობრებიც. მათ ახლებურად შეადგინეს საათობრივი მუშაობის გრაფიკი, გაითვალისწინეს ასაღები ფართობების რელიეფი და ყანის სიხშირე, დაათვალიერეს მისასვლელი გზები.

21 ივლისს ნათელაშვილის აგრეგატმა პირველი სერიოზული წარმატება მოიპოვა. „სტალინეც-6“-ით მოსავალი აღებულ იქნა 15 ჰექტარზე. მომდევნო დღეებში მკის ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდა. 24 ივლისს აღებულმა ფართობმა 22 ჰექტარს მიაღწია. კომბაინი მუშაობდა უდანაკარგოდ, მარცვლის გადმოტვირთვა ხდებოდა კომბაინის შეუჩერებლად.

იმ დღის ბოლოს ალექსის აგრეგატს მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს და კომბაინერს ახალი წარმატება უსურვეს. ხუბაშვილები ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს თავიანთ კოლეგებს. ადამი თავისი აგრეგატით კმაყოფილი არ იყო, მართალია მკის ნორმები სრულდებოდა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ გარდამავალი დროშა სხვებმა მოიპოვეს.

— გული არ გაიტეხოთ,—თქვა ნოშრევანმა, — ალექსის წარმატება ზღვარი არ არის. უკეთესად ვიმუშაოთ და მას არათუ დავეწევით, გავუსწრებთ კიდეც...

ფიქრმა შეიპყრო ადამ ხუბაშვილი. 16 წელიწადია მტს-ში მუშაობს და ჯერ სირცხვილი არ უჭამია. გულითადი მეგობარივით უყვარს კომბაინი. სოციალიზმის ეპოქის ეს შესანიშნავი მანქანა ცოცხალ არსებას ჰგავს—კარგად მოუვლი, გაგახარებს, არა და—გაწყენინებს.

— ალბათ მანქანას ისე ვერ ვიპყრობით, როგორც საჭიროა, — ფიქრობდა ადამი, — აი დღისაც ერთ საათს უქმად ვიდექით იმის გამო, რომ საჭირო ხრახნი თავის დროზე არ მოვიტანეთ. რას იტყვიან მეგობრები, ამხანაგები, განა ეს ეპატიება გამოცდილ კომბაინერს?

დუშეთის რაიონს მრავალი მექანიზატორი ჰყავს. ესენი არიან ყოფილი მეხრეები, გუთნისდედები — ადამიანები, რომლებმაც იციან ტრაქტორებისა და კომბაინების ფასი. ისინი აღზარდა საკოლმეურნეო ცხოვრებამ. მათ მძლავრი სამანქანო ტექნიკა აბარიათ, და საკმარისია ოდნავი ჩამორჩენა, რომ სირცხვილი იგრძნონ.

ადრე დაიწყეს მუშაობა ხუბაშვილებმა 1 აგვისტოს. განუწყვეტლივ გუგუნებდა ნოშრევანის ტრაქტორი. მორჩილად წვებოდა თავთავი ხედერის წინ, ავტომანქანა ვეღარ ასწრებდა გალეწილი ხორბლის წაღებას. ამ დღეს კომბაინის აგრეგატის წევრებმა მაქსიმალურ საათობრივ წარმადობას მიაღწიეს. კომბაინი მოძრაობაში იყო სრულ 16 საათს. საღამოს, როცა აღებული ფართობი გაზომეს, აღმოჩნდა, რომ მათ 26 ჰექტარი მოემკოთ და 30 ტონა პური გაელეწათ.

ასე შრომობდნენ მომდევნო დღეებშიც და ბუნებრივია, რომ გარდამავალმა დროშამ ხუბაშვილის „სტალინეც-6“-ზე გადმოინაცვლა.

საქმე ამით როდი დამთავრდა. სოციალისტური შეჯიბრების ძალა იმაშია, რომ იგი ადამიანს ახალი ენერგიით, ახალი შემოქმედებითი ცეცხლით აღავსებს. სოციალისტური შეჯიბრებისათვის უცხოა ადამიანის ერთ წერტილზე გაყინვა. ამიტომ არც ალექსი ნათელაშვილის აგრეგატის კოლექტივი იყო გულხელდაკრეფილი. მხოლოდ შვიდი დღე შეინარჩუნეს ხუბაშვილებმა წითელი დროშა. მერვე დღეს ცნობილი გახდა, რომ ნათელაშვილსა და მის ამხანაგებს ერთ დღეს 28 ჰექტარზე მოემკათ მოსავალი და 30 ტონაზე მეტი მარცვალი გაელეწათ.

დუშეთის მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ნ. ხეთაგურმა დროშა კვლავ ნათელაშვილს დაუბრუნა.

გაზეთები ახმეტელი კომბაინერის ს. რამაზაშვილის დიდი წარმატების ამბავს იტყობინებოდნენ. ნათელაშვილმა თავისი მეგობრების — მეშტურვალე სოლომონ სანაშვილისა და ტრაქტორისტ რევაზ ჩანადირის თანხმობით, რამაზაშვილს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „გავეცანით თქვენს წარმატებას, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 7 აგვისტოს მოსავალი ხარისხიანად ავიღეთ 28 ჰექტარზე. ვალდებულებას ვკისრულობთ მოსავლის აღება ჩვენც 36 ჰექტარამდე ავიყვანოთ“.

ახლა ალექსის აგრეგატს ორი მეტოქე ჰყავს — დუშეთელი ხუბაშვილი და ახმეტელი რამაზაშვილი. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ბაზალეთის ველზე ჩვენი ყოფნის დროს ალექსი ნათელაშვილს ადგილობრივი გაზეთისათვის სურათი გადაუღეს. ახალგაზრდა ფოტოგრაფი ირაკლი წიკლაური დიდხანს წვალობდა, სანამ სამფეხას მოხერხებულად დადგამდა. სურათის გადაღების წინ მან კომბაინერის სახეზე მტვერი შეინშნა და „ავტორიტეტულად“ დაასკვნა: საჭიროა პირის დაბანაო.

ცნობისმოყვარე გოგო-ბიჭები, რომლებიც ფოტოგრაფს გარს ეხვივენ, მახლობელ სახლში გაიქცნენ და წყალით სავსე ხელადა, საპონი და პირსახოცი მოარბენიეს. უნდა გენახაო, როგორი ფაციფუცით დაბანინეს პირი სახელგანთქმულ კომბაინერს.

ფოტოგრაფი ჯიუტი აღმოჩნდა. მან მოითხოვა, რომ ალექსი კომბაინთან დამდგარიყო. ამ უკანასკნელმა სასტიკი უარი განაცხადა:

— კომბაინს ვერასგზით ვერ შევაჩერებთ. თვითეული წუთი გაანგარიშებული გვაქვს. სურათი რათ მინდა, თუ კი აღებულ ვალდებულებას ვერ გავანაღდებთო...

რა გაეწყობოდა. ფოტოგრაფმა აპარატი მოიმარჯვა და „არ გაინძრეთო“ შესძახა...

ვიღაცამ იხუმრა:

— ეე, ძმობილო ცხოვრებას ჩამორჩენილხარ, მაგისთანა აპარატით მხოლოდ მძინარებს გადაიღებ კარგად, ხომ იცი, ასეთ დროს ჩვენი კაცი მხოლოდ ძილში არ ინძრევაო.

* * *

ცნობამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ ხუბაშვილები და ნათელაშვილი თავიანთ თანასოფლელებთან ერთად ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად აოფრთოვანა. მექანიზატორები გულდასმით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს.

ხუბაშვილები და ნათელაშვილი ჩამეული არიან პარტიის XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. უკვე შეჯამებულია ორი კომბაინერის მუშაობის პირველი შედეგი: ალექსი ნათელაშვილს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა, მოსავალი აღებული აქვს 300 ჰექტარზე. არც ხუბაშვილები ჩამორჩებიან. ისინი კისრულობენ მიმდინარე წელს თავიანთი კომბაინით სულ ცოტა 350 ჰექტარი ხორბალი აიღონ.

* * *

მოსავლის აღების საზეიმო დღეებია ბაზალეთის ველზე. აქაურ მინდვრებს არასოდეს უნახავს ამდენი ტრაქტორი, ამდენი კომბაინი და ავტომანქანა... წლითიწლობით იზრდება მოსავლიანობა, ფართოვდება საკოლმეურნეო სოფლის ტექნიკური აღჭურვილობა და, რაც მთავარია, იზრდებიან ადამიანები.

განა ჩვენი ადამიანების ზრდასა და შრომისადმი ჰეშმარიტად სოციალისტურ დამოკიდებულებას არ მოწმობს ხუბაშვილების ოჯახის და ნათელაშვილის აგრეგატების წარმატება?

აი კიდევ პატარა, მაგრამ საგულისხმო ამბავი.

ერთმა შუახეველმა ახალგაზრდამ ამ დღეებში ქორწილი გადიხადა. პატარძალი სხვა სოფლიდან ავტომანქანით მოჰყავდათ. სანამ გზაში იყვნენ, სიძე და ორიოდე მაყარი გაცხარებით მღეროდნენ, ალბათ დიდი ქორწილის შთაბეჭდილების შექმნა თუ სურდათ, მაგრამ, როცა საკუთარ სოფლის მინდვრებს მიუახლოვდნენ და შრომაში გართული კოლმეურნეები დაინახეს, ყურებამდე გაწითლდნენ და მანქანაში ჩაიმალნენ...

კოლმეურნეები სიცილით ამბობდნენ, ეგ ღალოცვილი ცოტას დაიცდიდა, როცა ამ გახურებული მუშაობის დროს მოაგონდა პატარძალიო.

დარცხვენილი სიძე მეორე დღესვე მკელეს შორის ჩამდგარა.

* * *

ასეთია ბაზალეთის ველზე ორი კომბაინერის შეჯიბრების ამბავი, ჩვენი რიგითი ადამიანების ზრდისა და წინსვლის უბრალო ამბავი.

უცხოეთის გამოხმაურება საკავშირო კ.პ.(ბ) მომავალი XIX ყრილობის გამო

ბულგარეთი

სოფია, 25 აგვისტო. (საკდესი). ბულგარეთის მშრომელები კვლავ გამოთქვამენ სიხარულს სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის გამო.

მე წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება ვყოფილიყავი საბჭოთა კავშირში, წერს დღეს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოში“ „პირველი მაისის“ ფაბრიკის მქსოველი სოციალისტური შრომის გმირი ატანასკა ლიმატროვა. მე ვნახე, თუ რა განსაკუთრებული წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა კომუნიზმის მშენებლობაში. საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა დაჩქარებს კომუნიზმის მშენებლობას საბჭოთა კავშირში, უფრო განამტკიცებს მშვიდობის ბანაკს. ყრილობა დახმარებას გაუწევს მთელი დედამიწის მშრომელებს იმაში, რომ გააძლიერონ გმირული ბრძოლა მშვიდობის საქმის დასაცავად.

ჩვენი სამშობლოს მშრომელები ჰბაძავენ დიდი საბჭოთა კავშირის მაგალითს სოციალიზმის მშენებლობაში. დიდ მოვლენას ხალხთა ცხოვრებაში — ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობას — ჩვენ ახალი დიდი შრომითი გამარჯვებებით შევხვდებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა, — წერს ამავე გაზეთში ახალი სოციალისტური ქალაქის რუდოზემის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ევსტატი ტომოვი, — განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 25 აგვისტო. (საკდესი). საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ უნგრეთის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

გაზეთი „საბად ნეპი“ სარედაქციო სტატიაში წერს:

ახლა, როცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა პროექტი პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ყველა პატიოსან ადამიანს მთელ მსოფლიოში შეგნებული აქვს, რომ ამ გეგმას, რომელსაც საბჭოთა კავშირი წინ მიჰყავს კომუნიზმის გზით, აგრეთვე წინ მიჰყავს მთელი კაცობრიობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისაკენ.

ცნობა საბჭოთა კავშირის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მთელ მსოფლიოს მოეფინა ისეთ დროს, როცა იმპერიალისტები ემზადებიან ახალი ომის გაჩაღებისათვის, ეწევიან საზიზღარ ომს კორეაში, კოლონიურ ომს ვიეტნამსა და მალაიაში, აქვეითებენ მშრომელთა ცხოვრების დონეს. საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმა ამზადებს დღემდე უმაგალითო აღმავლობას: ახალი ფაბრიკა-ქარხნების, ახალი ელექტროსადგურების, ახალი არხების მშენებლობას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას გაციცებით უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე ოდესმე დღემდე.

ახალი ხუთწლიანი გეგმა მილიონობით ადამიანის იმედია.

ეს გეგმა, განაგრძობს გაზეთი, მშვიდობიანი ეკონომიური და კულტურული მშენებლობის გეგმა, ბრწყინვალედ მოწმობს მშვიდობისადმი მისწრაფებას, საბჭოთა კავშირის ძალას. საბჭოთა ხალხი ისახავს უდიდეს მიზნებს და დარწმუნებულია, რომ თავისი მშვიდობიანი შრომის ნაყოფს იგი დაიცავს ყოველგვარი თავდასხმისაგან.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის, მათ შორის უნგრეთისთვისაც, სსრ კავშირის მეხუთე ხუთწლიანი გეგმა მკაფიო მაგალითია ახალი ცხოვრების გზაზე, რომლითაც ახლა ეს ქვეყნები მიდიან. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სერიოზული გაფრთხილებაა ომის გაჩაღებლებისათვის, ახალი ძლიერი დაბრკოლებაა იმ ძალების გზაზე, რომლებიც ომს ესწრაფვიან.

„საბად ნეპი“ აქვეყნებს აგრეთვე მშრომელთა წერილებს სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ელექტროხელსაწყოების ქარხანა „განცის“ ინჟინერი დიენრდ ფიშერი თავის წერილში წერს, რომ საბჭოთა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა უდიდესი ნაბიჯია მთელი კაცობრიობის განვითარების საქმეში. ასეთი გიგანტური ამოცანების გადაჭრისას აწრთობა ახალი ტიპის ადამიანი. როცა ეს ხუთწლიანი გეგმა განხორციელდება, მსოფლიოს შეეძინება არა მარტო ახალი ტექნიკ. არამედ ასეთი ათასობით ისეთი ადამიანიც, რომელიც ისტორიას ჯერ არ შეუქმნია და რომლის აღზრდა შეიძლება მხოლოდ კომუნიზმის მშენებლობის სამშობლოში.

სოფელ მაგლოდის მიჩურინის სახელობის საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარე იანოშ ტაბანი წერს: ეს გეგმა ცხადყოფს, თუ რა შესანიშნავ სამაოცლეზე ავიდა კომუნიზმის მშენებლობის ქვეყანა. გეგმის ყოველ სტრიქონში იგრძნობა ამხანაგ სტალინის ზრუნვა ხალხისათვის. დიდი გეგმა ჩვენც გვაძლევს უკეთ მუშაობის სტიმულს.

გაზეთმა „მადიარ ნემეზტმა“ მოათავსა იმრე ბერტალანის სტატია „მშვიდობისა და შემოქმედების სულის ახალი გამარჯვება“.

ახალი ხუთწლიანი სტალინური გეგმა, ნათქვამია სტატიაში, ჩვენს ახალგაზრდა ქვეყანაშიც კეთილშობილური, თავისუფალი შემოქმედებითი შრომის მშვენიერ, განუსაზღვრელ შესაძლებლობას ქმნის. ახალი ხუთწლიანი გეგმა იმას მოწმობს, რომ შემოქმედების მშვიდობიანი სული უფრო ძლიერია ნგრევის სულზე, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

ბუდაპეშტი, 25 აგვისტო. (საკდესი). გაზეთები კვლავ ბეჭდავენ გამოხმაურებას ცნობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ და ყრილობის სხვა მასალებს.

დღეს გაზეთი „საბად ნეპი“ ათავსებს შრომის ორდენით დაჯილდოებული ტატაბანელი მეშახტის სტაზანოველ ანდრაშ ტაიკოვის წერილს. წარჩინებული მეშახტე წერს: „სულ მხოლოდ 20-30 სტაქანოვია დაწერილი ახალ სტალინურ ხუთწლიან გეგმაში საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობის განვითარების შესახებ და მაინც არ შემიძლია წარმოვდგინო მეშახტისათვის უფრო აღმაფრთოვანებელი მასალა, ვიდრე ეს სტრიქონები.

საბჭოთა შახტებში უფრო მეტად, ვიდრე დღემდე, გამოყენებენ უახლეს მანქანებს. ეს დიდი საქმეა. საბჭოთა კავშირში ხომ ახლა ქვანახშირის ყველაზე მექანიზებული და თანამედროვე მრეწველობაა მსოფლიოში.

მე დიდი ბედნიერება მქონდა ვყოფილიყავი კომუნიზმის მშენებლობის ქვეყანაში და საკუთარი თვალით მენახა, თუ როგორია საბჭოთა შახტი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში“.

ლაპარაკობს რა იმ უდიდეს შთაბეჭდილებაზე, რაც მასზე დონბასის ქვანახშირის შახტებმა მოახდინეს, ა. ტაიკოვი ამბობს, რომ ყოველივე ეს ნახული ოცნებაა თვითეული მეშახტისათვის.

საბჭოთა კავშირში ეს ოცნება სინამდვილედ იქცა.

ჩვენ, უნგრელი მეშახტეები, წერს შემდეგ ტაიკოვი, იმ გზის მხოლოდ დასაწყისში ვართ, რომლითაც საბჭოთა მეშახტეები ძალიან შორს წავიდნენ წინ. ჩვენს შახტებში დაიწყო მექანიზაცია. ყოველივე, რაც ახლა საბჭოთა კავშირში ხორციელდება, ჩვენშიც იქნება მიღწეული.

მე მსურს დახმარება გაეწიოს იმას, წერს დასასრულ მეშახტე, რომ ჩვენ რაც შეიძლება ჩქარა მივდიოდეთ წინ ამ გზით. სწორედ ამ დღეებში დავამთავრე ჩემი ხუთწლიანი გეგმა. ვეცდები ჩემს სამშობლოს მივცე უფრო მეტი ქვანახშირი, უფრო წარმატებით დავეუფლო საბჭოთა მეშახტეების გამოცდილებას.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 25 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XIX ყრილობა მთელი ჩეხოსლოვაკიის ხალხის ყურადღების ცენტრშია.

მოწონავე სტატიაში „ლენინ-სტალინის პარტიის ძლევამოსილი გზა“ გაზეთი „რუდე პრავო“ წერს:

ცნობა ბოლშევიკური პარტიის — ლენინ-სტალინის ძლევამოსილი, უძლეველი პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ მთელმა პროგრესულმა კაცობრობამ ისეთი აღფრთოვანებით მიიღო, რომლის სიტყვით გამოთქმაც ძნელია. ჩვენი ხალხი აგრეთვე სიხარულით მიესალმება ყრილობის მოწვევას. ყრილობა მზარდი ძალების დათვალიერება იქნება და ახალ გაბედულ ამოცანებს დაუსახავს კომუნიზმის წმიდა საქმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა მრავალმილიონიან არმიის.

ბოლშევიკების მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მძლავრი სტიმულია მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, რომლებიც აყვავებულ საბჭოთა ქვეყანაში ხედავენ თავიანთი ქვეყნების ბრწყინვალე მომავალსაც. მარქსიზმ-ლენინიზმის განსათავისუფლებელი იდეები იზიდავენ სულ უფრო ფართო მასებს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ შეამოწმონ მათი ძალა და ცხოველმყოფელობა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ეკონომიკის, კულტურისა და კეთილდღეობის სწრაფი განვითარებით.

მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანი დღითიდღე რწმუნდება, რომ სსრ კავშირი მთელ თავის უდიდეს ძალასა და სოციალისტური სახელმწიფოს ავტორიტეტს ახმარს მშვიდობის შენარჩუნების, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და აგრესორთა ალაგმვისათვის ბრძოლას.

მაშინ როცა ამერიკის იმპერიალიზმი აუტანელი სამხედრო ტვირთის გადიდებით ექსპლოატაციას აძლიერებს, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრომელთა სიღატაკე მატულობს, ლენინ-სტალინის პარტია საბჭოთა ხალხს, რომელმაც არ იცის ექსპლოატაცია და მაღალი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის პირობებში ცხოვრობს, აძლევს ცხოვრების დონის შემდგომი საოცარი გაუმჯობესების ბრწყინვალე პერსპექტივას.

„რუდე პრავოს“ მოჰყავს სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის გამო პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტის ამონაწერი, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების და ყველა იმ ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესახებ, რომელსაც სურს განვითაროს ვაჭრობა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე.

ყოველი ადამიანი, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, წერს გაზეთი, სიხარულით მიესალმება სსრ კავშირის ამ ახალ სამშვიდობო ინიციატივას. სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელები ბედნიერი არიან იმით, რომ უკვე სარგებლობენ სსრ კავშირთან უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობის კეთილნაყოფიერი შედეგებით.

სტატიაში „საბჭოთა მეხუთე ხუთწლედის დირექტივების დამრაზმავი ძალა“ გაზეთი „რუდე პრავო“ წერს: მეხუთე ხუთწლედის ყოველ ციფრში მოჩანს კომუნიზმის—მთელი კაცობრიობის ამ დიდი ხნის ნანატრი მიზნის კონტურები, მოჩანს საბჭოთა ადამიანების შეძლებული და ბედნიერი, აღტაცების გამომწვევი ცხოვრების სახე, ადამიანებისა, რომლებიც დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით შედიან კომუნიზმში.

ჩვენთვის, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელთათვის, მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ჩვენი მომავლის სახეა, რომლის განხორციელების გზაზეც ჩვენ უკვე ფეხი შევდგით. ამიტომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა მძლავრი ძალაა, რომელიც რაზმავს ჩვენს ხალხს სოციალიზმის მშენებლობის დასაჩქარებლად.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვეასადმი მიძღვნილ მოწონავე სტატიებს ათავსებენ აგრეთვე გაზეთები „პრაცე“, „ობრანა ლიდუ“, „ზემედელსკე ნოვინი“ და ბრატისლავის გაზეთი „პრავდა“.

რუმინეთი

ბუქარესტი, 25 აგვისტო. (საკდესი). პრესა გაცხოველებით ეხმაურება საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალ XIX ყრილობას. გაზეთმა „სკინტეიამ“ პირველ გვერდზე მოათავსა მასალები საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალი XIX ყრილობის შესახებ ლოზუნგით: „დიდება დიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), ლენინ-სტალინის პარტიას—მთელი მსოფლიოს მშრომელთა გზის მაჩვენებელ შუქურას!“.

მოწონავე სტატიაში სათაურით: „უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა“, გაზეთი „სკინტეია“ წერს:

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა, რომელსაც მთელი მსოფლიოს კომუნისტები და მშრომელები შეხვდნენ დიდი სიხარულით, უცხოველესი ინტერესითა და ბედნიერი მომავლისადმი ახალი იმედებით.

საბჭოთა ხალხების ყოველ წარმატებას დიად შემოქმედებითს შრომაში, რომელიც ლენინ-სტალინის დროშით ხორციელდება, ყოველ ნაბიჯს, რომელსაც დგამენ წინ ბოლშევიკების დიადი კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, განამტკიცებს მშვიდობისა და პროგრესის ძალებს მთელ მსოფლიოში, ახალ ენერგიას მატებს ყველა მშრომელს...

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მთელი ძალითა და უაღრესი სიცხადით ასახავს სოციალიზმის ეკონომიური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალიზმის დამპალი სისტემის წინაშე. დირექტივების პროექტი განსაცვიფრებელი დოკუმენტია, რომელიც ამკვიდრებს ცხოვრებასა და მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეული პოლიტიკისა და მშვიდობის ძალთა გამარჯვებისადმი მტკიცე რწმენის უბრწყინვალეს გამოვლინებასა და უდავო დამამტკიცებელ საბუთს.

მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, აღნიშნავს დასასრულ „სკინტეია“, რუმინეთის კომუნისტები და ყველა მშრომელი მხურვალე ენთუზიაზმით მიესალმებიან საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მომავალ მოწვევას.

რუმინეთის მშრომელებმა კარგად იციან, რომ ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტიის ისტორიული გამოცდილების შეთვისება, ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრების შეთვისება საკუთარ თავისუფალ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გარანტიაა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 25 აგვისტო. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საკავშირო კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობის მომავალ მოწვევას. გაზეთები აქვეყნებენ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მრავალ გამოხმაურებასა და სტატიას. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ მოწონავე სტატიაში წერს:

მთელი დედამიწის მშრომელები აღფრთოვანებით ხვდებიან სსრ კავშირის განვითარების ახალ ხუთწლიან გეგმას, სწავლობენ მას, იქ იძენენ ახალ განუზომელ ძალებს მშვიდობისათვის, თავიანთი ხალხების საუკეთესო ცხოვრებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამის საწინააღმდეგოდ, მშვიდობის მტრებში — იმპერიალისტებში—შიშსა და გაბოროტებას იწვევს საბჭოთა კავშირის შემდგომი სწრაფი განვითარების ამ გიგანტური გეგმის ამბავი.

მოწონავე სტატიაში „კომუნიზმის გზით“ გაზეთი „ტრიბუნუ“ წერს: „დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლებიც განხილულ იქნება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე, კვლავ უმტკიცებენ მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირი ემხრობა მშვიდობას, მას ესაჭიროება მშვიდობა თავისი გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად. საბჭოთა კავშირი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნების ცენტრია. საბჭოთა კავშირი დიდი მაგალითია ყველა ხალხისათვის... ჩვენს ეპოქას სამართლიანად ეწოდება სტალინური ეპოქა“. გაზეთი მოუწოდებს: „ვისწავლოთ საბჭოთა ადამიანებისაგან, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ მშვიდობიანი მშენებლობა, როგორ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, როგორ უნდა დავიცვათ სამშობლო იმპერიალისტთა ავანტიურისტული გეგმებისაგან“.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). გაზეთებმა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს ცნობები საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალი XIX ყრილობის შესახებ.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მთელ გვერდზე დაბეჭდა პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის თარგმანი და ყრილობას მიუძღვნა ვრცელი სტატიების სერია.

გაზეთი ათავსებს აგრეთვე კორესპონდენტთა დეპეშებს ყრილობის მოწვევის გამო ვაშინგტონში, ლონდონსა და პარიზში გამოხმაურების შესახებ.

გაზეთებმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“, „დეილი მირორმა“, „დეილი ნიუსმა“ (ნიუ-იორკი), „სტარმა“ (ვაშინგტონი), „სანმა“ (ბალტიმორა) თვალსაჩინო ადგილებზე გამოაქვეყნეს ასოშეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრესის სააგენტოების მოსკოველი კორესპონდენტების ცნობები ყრილობის მოწვევის შესახებ.

ბურჟუაზიული პრესა იწყებს სხვადასხვაგვარ მსჯელობას და მკითხაობას და სურს ხალხის მასებს დაუმალოს სოციალიზმის ქვეყნის მიღწევანი და წარმატებანი, რომლებიც ასახულია სსრ კავშირის მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მომავალი ყრილობის დირექტივების პროექტში.

კომპარტიის ორგანო გაზეთი „დეილი უორკერი“ თავის მხრივ სარედაქციო სტატიაში წერს: „ყველა ამერიკელის ვალია თავის და თავისი ქვეყნის წინაშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რას ფიქრობენ ისინი სოციალიზმზე ან კომუნიზმზე, სერიოზული ყურადღება მიაქციონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ ყრილობას. წარსულის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს დიდი ყრილობები კოლოსალური წვლილია საერთაშორისო ისტორიაში. მაგალითად, 30-იან წლების პარტიულმა ყრილობებმა, რომლებზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განხორციელებულიყო 10 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია შესანიშნავი ხუთწლიანი გეგმების საშუალებით, ხელი შეუწყო მსოფლიოს ხსნას ჰიტლერის მიერ დაპყრობისაგან. საბჭოთა კავშირი რომ ინდუსტრიალიზებული არ ყოფილიყო, იგი გახდებოდა მსხვერპლი ჰიტლერისა, რომელიც შემდეგ შეძლებდა, როცა ფიქრად მოუვდოდა, ყელში დანა დაეჭირებინა შეერთებული შტატებისათვის.

საზოგადოება, რომელიც მთავარ მიზნად ისახავს უზრუნველყოს სიუხვე ყველასათვის და გამდიდრებას არ ესწრაფვის, წერს შემდეგ გაზეთი, არ საჭიროებს ომს იმისათვის, რომ „გადაერთოს“ მრეწველობა სამხედრო დაკვეთებით, როგორც ამას ვხედავთ დასავლეთის ქვეყნებში, სადაც უმცირესობა ჯერ კიდევ ფლობს ეროვნულ მრეწველობას. პირიქით, ეს ისეთი საზოგადოებაა, რომელსაც ეჯავრება ომი და მას თვლის არაადამიანურ მოვლენად, რომელიც მოითხოვს ამაო ხარჯებს, და ადამიანს შესაფერისი არ არის. ახალი ხუთწლიანი გეგმის მიზანია 1955 წლისათვის სამომხმარებლო საქონლის წარმოების, ფაქტიურად ერთიორად გადიდება, მძიმე მრეწველობის წარმოების გადიდებასთან ერთად. ეს ამის ყველაზე დამარწმუნებელი ნიშანია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ შეძლებენ მიაღწიონ და დაიცვან მშვიდობა კაპიტალისტურ ამერიკასა და სოციალისტურ საბჭოთა კავშირს შორის.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 26 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელ ზღუდეებზე.

ამერიკელთა მიერ სამხედრო ჯყვეების დახოცვის ახალი ფაქტები

ხინხუას სააგენტოს ცნობა

პეკინი, 26 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 25 აგვისტოს კესონდან გადმოგვცა:

ტყვედ წაყვანილმა ჩინელმა მოხალისემ ტან ცონ-მინმა, რომელიც ამერიკელებმა აიძულეს ჯაშუში გამხდარიყო და პარაშუტით ჩამოუშვეს ჩრდილოეთ კორეაში, ილაპარაკა ამერიკელთა მიერ სამხედრო ტყვეების დახოცვის კიდევ ერთი შემთხვევის შესახებ. მან განაცხადა, რომ ეს მზეცობა, რომელიც დღემდე ცნობილი არ იყო, მოხდა 1951 წლის 15 აგვისტოს, როცა მოკლეს 15 კორეელი სამხედრო ტყვე, მათ შორის 7 ქალი, და დაჭრეს 40-ზე მეტი კაცი.

ტან ცონ-მინის როგორც სამხედრო ტყვის პირადი ნომერი იყო 709.999. იგი წინათ იყო 72-ე პოლკში სამხედრო ტყვეთა ამერიკულ ბანაკში. 1951 წლის აგვისტოში იგი პუსანს ჩაიყვანეს „გამოკითხვისათვის“, რაც საქმით ნიშნავდა იძულებითს დაკითხვას. შემდეგ ტან ცონ-მინი მოათავსეს გამოძიებაში მყოფ სამხედრო ტყვეთა ამერიკული ბანაკის ერთ-ერთ კარავში, რომელიც მხოლოდ ეკლიანი მავთულით იყო გამოყოფილი იმ ბანაკისაგან, სადაც სამხედრო ტყვე კორეელები იმყოფებოდნენ.

15 აგვისტოს საღამოს კორეელი სამხედრო ტყვეები შეიკრიბნენ თავის სექტორში, რათა კორეის განთავისუფლების დღე რევოლუციური სიმღერებითა და ხალხური ცეკვებით აღენიშნათ. უეცრად ამერიკელ-ლისინმანელმა ბანდიტებმა ტყვიამფრქვევები დაუშინეს სამხედრო ტყვეებს. მოკლეს 15 სამხედრო ტყვე და დაჭრეს 40-ზე მეტი კაცი. ტყვე მამაკაცები თავგადაწირვით იფარავდნენ ქალებს.

ეს შემთხვევა მხოლოდ ერთი დანაშაულია იმ მრავალ საშინელ დანაშაულთაგან, რომლებიც ამერიკელებმა ჩაიდინეს დაუმორჩილებელ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგ. ბევრი სხვა შემთხვევა ჯერ კიდევ არ არის გამომჟღავნებული. ამერიკელები ჯერაც უარს აცხადებენ მოგვცენ სათანადო ახსნა-განმარტება ამ დანაშაულთა შესახებ.

მშვიდობის დღესასწაული ტოკიოში

ტოკიო, 25 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ტოკიოში ედოგავას პარკში გაიმართა იაპონიის კომუნისტური პარტიის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მშვიდობის დიდი დღესასწაული. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო 80 ათასამდე კაცმა, რომლებიც კანტოს მთელი რაიონიდან ჩამოვიდნენ.

დილადანვე წარმოებდა სხვადასხვა სასპორტო თამაშობა და შეჯიბრება.

15 საათზე გაიმართა მსობრაკი მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებითაც მოითხოვეს კორეის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, იაპონიის პოლიციის სარეზერვო კორპუსის დაშლა, გამოთქვეს პროტესტი იაპონიის ხელახლა შეიარაღებისა და სამხედრო ბეგარის აღდგენის წინააღმდეგ, აგრეთვე მიიღეს რეზოლუცია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესში მონაწილეობის შესახებ და მოიწონეს ლოზუნგი „დავიცვათ კომუნისტური პარტია“.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მოეწყო თეატრალური დასების გამოსვლები, მასობრივი თამაშები და ცეკვა.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის წინ

ტოკიო, 25 აგვისტო. (საკდესი). 23 და 24 აგვისტოს ტოკიოში მიმდინარეობდა სრულიად იაპონიის კონფერენცია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესისათვის დელეგატების ასარჩევად. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ იკუო ოიამა, ძიიკირო მაცუმოტო, იოსიტარო ხირანო და სხვები.

იკუო ოიამამ, რომელმაც კონგრესისათვის მზადების იაპონიის კომიტეტის სახელით ილაპარაკა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას იაპონიის დელეგატების დასწრება აზიისა და წყნარი ოკეანის მშვიდობის მომხრეთა კონგრესზე.

მშვიდობის მომხრეთა კონგრესისათვის მოსამზადებელი იაპონიის კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხატანაკამ, რომელმაც აღნიშნა იაპონიაში კონგრესის აქტიური მზადება და განაცხადა, რომ ამ კონფერენციას ესწრებიან სხვადასხვა წრის წარმომადგენლები, მათ შორის დიდი პოლიტიკური პარტიებისა და ძირითად პროფკავშირულ გაერთიანებათა წარმომადგენლები. დიდი ინტერესით მოისმინეს ადგილებიდან ჩამოსული დელეგატების სიტყვები.

X საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ჰელსინკი, 26 აგვისტო. (საკდესი). დილით გადადებული პარტიების დამთავრების შედეგად ანგარიშით 2:2 დასრულდა იუგოსლავია-ამერიკის შეერთებული შტატების (მეოთხე ტური) და უნგრეთ-დასავლეთ გერმანიის (მეხუთე ტური) მატჩები.

ჰელსინკი, 26 აგვისტო. (საკდესი). მეექვსე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ იუგოსლავიის გუნდს. დაფების **რიგის** მიხედვით თამაშობენ გლიგორიჩ-კერესი, **სმისლოვ**-რაბარი, ტრიფუნოვიჩ-გელერი და ბოლესლავსკი-პირკი.

გლიგორიჩის პარტიაში კერესმა აირჩია ჩიგორინის ვარიანტი. აღგილმრავი დროით 18 საათისათვის მდგომარეობა, დაახლოებით, თანაბარია.

სმისლოვმა რაბართან გაითამაშა ლაზიერის დებიუტის ერთ-ერთი ცნობილი ვარიანტი. **სმისლოვს** უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ტრიფუნოვიჩ-გელერის პარტიაში გათამაშდა ძველი ინდიური დაცვა. ახლა დაფაზე რთული სამანევრო ბრძოლაა.

ლაზიერთა ნაადრევი გაცვლა **მოხდა** ბოლესლავსკი-პირკის პარტიაში. მალე ამის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ეტლებიც გაცვალეს. მიღებულ დასასრულში საბჭოთა გროსმაისტერს ცოტაოდენი უპირატესობა აქვს.

ჰელსინკი, 26 აგვისტო. (საკდესი). გროსმაისტერმა სმისლოვმა მოუგო იუგოსლავიის ჩემპიონს ოსტატ რაბარს. კერეს-გლიგორიჩის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელია.

ჰელსინკი, 26 აგვისტო. (საკდესი). გადადებული პარტიების გათამაშების დროს ტრიფუნოვიჩმა მოუგო გელერს. ბოლესლავსკი-პირკის პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, იუგოსლავია-სსრ კავშირის მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:2. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოუგეს დასავლეთ გერმანიას ანგარიშით 3:1. არგენტინამ ფინეთის წინააღმდეგ $1^1/_2$ ქულა დააგროვა ორში. ხელახლა გადადებულ პარტიებში უპირატესობა არგენტინელებს აქვთ.

ხვალ დილით მოხდება დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. დღისით შედგება მეშვიდე ტური, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან: ამერიკის შეერთებული შტატები-შვეიცარია, არგენტინა-დასავლეთი გერმანია, სსრ კავშირი-ფინეთი, ჩეხოსლოვაკია-იუგოსლავია. თამაშისაგან თავისუფალია უნგრეთის გუნდი.

მსოფლიო პირველობა ფრენბურთში

მოსკოვში ... ინდოეთის ... ინდოონზე გაქანებდა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ... ფრენბურთში. ... ინდოელ სპორტსმენებმა 26 აგვისტოს მოხდა შვიდი შეხვედრა.

მოედანზე პირველნი გამოვიდნენ ინდოეთისა და ფინეთის ვაჟთა გუნდები. სამ პარტიაში ანგარიშით 15:4, 15:1 და 15:4 გაიმარჯვეს ინდოელმა ფრენბურთელებმა. ეს ინდოელი სპორტსმენების მეორე გამარჯვებაა საბოლოო შეხვედრებში.

დიდი სიფაქიზით მიმდინარეობდა უნგრეთისა და საფრანგეთის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. პირველი პარტია დამთავრდა ანგარიშით 15:6 უნგრელ ფრენბურთელთა სასარგებლოდ. მეორე პარტია უნგრეთის გუნდმა მოიგო ანგარიშით 16:14, მესამე პარტია კი ანგარიშით 15:9.

ჩეხოსლოვაკიის ვაჟთა გუნდმა, რომელიც მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრებაში ჯერ არ დამარცხებულა, მოუგო რუმინეთის გუნდს. ანგარიშია 15:8, 15:4 და 15:5 ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელთა სასარგებლოდ.

პოლონელმა სპორტსმენებმა სამ პარტიაში მოუგეს ლიბანის ვაჟთა გუნდს ანგარიშით 15:2, 15:4, 15:2.

ამ შეჯიბრებაში მეხუთე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდმა. მან სამი პარტია მოუგო ფრანგ ფრენბურთელ ქალებს ანგარიშით 15:2, 15:3 და 15:7.

მედგარი ბრძოლა გაჩაღდა რუმინეთისა და ბულგარეთის ქალთა გუნდების შეჯიბრებაში. შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 3:1 ბულგარეთის გუნდის სასარგებლოდ.

უნგრელმა ფრენბურთელმა ქალებმა მოუგეს ინდოეთის ქალთა გუნდს ანგარიშით 3:0.

27 აგვისტოს მოხდება შვიდი შეხვედ